განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე ,,დიპლომატიური სამსახურის შესახებ"

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

,,დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, რომელიც მიღებულია 1999 წელს, ვეღარ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულ ნორმებს და გამომდინარე აქედან, დღის წესრიგში დადგა ახალი ნორმატიული აქტის შემუშავების აუცილებლობა.

,,დიპლომატიური სამსახურის შესახებ" კანონპროექტის მიღების მიზეზია საქართველოში დიპლომატიური სამსახურის გავლასთან დაკავშირებული ურთიერთობების სრულყოფის აუცილებლობა და შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულ ნორმებთან.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

,,დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის მიზანია განსაზღვროს დიპლომატიური სამსახურის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები, განსაზღვროს ის ძირითადი პრინციპები და ფასეულობები, რომლებსაც ემყარება დიპლომატიური სამსახური, დაადგინოს დიპლომატიური სამსახურის ორგანიზების სამართლებრივი საფუძვლები, განსაზღვროს დიპლომატიური სამსახურის გავლის პროცედურა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი კანონის პროექტის მიღებით დაიხვეწება საქართველოში დიპლომატიური სამსახურის ორგანიზებისა და დიპლომატიური სამსახურის გავლის სამართლებრივი საფუძვლები. კერძოდ:

,,დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის თანახმად:

- ახლებურად განისაზღვრა კანონის რეგულირების სფერო;
- გაუქმებული იქნება დიპლომატიურ თანამდებობის პირთან გათანაბრებული პირის ცნება და მის ნაცვლად შემოღებული იქნება რეზერვის ახალი კატეგორია - დიპლომატიური სამსახურის აქტიური რეზერვი — საჯარო მოსამსახურეთა კატეგორია, რომლებიც სამსახურს არ გადიან სამინისტროს სისტემაში, მაგრამ მონაწილეობენ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსისა და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ წინადადებების შემუშავებასა და განხორციელებაში და ენიჭებათ დიპლომატიური რანგი;
- ახლებურად ხდება კანონში გამოყენებული ტერმინების განსაზღვრება;
- განისაზღვრა დიპლომატიური სამსახურის ფასეულობები და პრინციპები, რომლებიც დამყარებულია საერთაშორისოდ აღიარებულ დემოკრატიისა და სამართლებრივ ნორმებზე;
- ახლებურად ხდება დიპლომატიურ სამსახურში მიღების პროცედურის განსაზღვრა, დგინდება იმ სამი ძირითადი წესი, რომელთა საფუძველზეც მოხდება დიპლომატიურ სამსახურში მიღება;
- ახლებურად ხდება დიპლომატიური რანგის მინიჭების პროცედურის განსაზღვრა;
- ზუსტდება იმ პირთა წრე, რომლებსაც შეიძლება მიენიჭოთ უმაღლესი დიპლომატიური რანგი;
- დგინდება დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელისათვის სამუშაო ვადის გაგრძელების პროცედურა, რაც აქამდე საერთოდ არ იყო დარეგულირებული;

- დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალს ემატება ახალი კატეგორიები - თავდაცვის ატაშე (სამხედრო ატაშეს ნაცვლად), თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი საერთაშორისო ორგანიზაციებში, **რომლებიც** შედიან დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალის შემადგენლობაში და სამხედრო ხასიათის ურთიერთობებში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოადგენენ საქართველოს.

- ხდება დიპლომატიური სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლებისა და პროცედურის დადგენა, რაც აქამდე რეგულირდებოდა ,,საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონითა და საქართველოს შრომის კოდექსით.

- წარმოდგენილი კანონის პროექტი დახვეწილია იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან დაფინანსების სხვა წყაროებიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიხედვით, უქმდება სამუშაო მივლინებაში წარგზავნილ მოსამსახურისათვის დაკავებული თანამდებობის შესაბამისი ხელფასის ოდენობის 5%-იანი შენარჩუნების ვალდებულება და პროექტში იწერება ახალი პუნქტი, რომლის მიხედვითაც დიპლომატიური თანამდებობის პირთა სოციალური დაცვის სხვა გარანტიები, რომელიც მოცემული არ არის ამ კანონში, განისაზღვრება მინისტრის სამართლებრივი აქტით.

გარდა ამისა, კანონპროექტის მიხედვით დიპლომატიური რანგისათვის დაწესებულია შესაბამისი დანამატი, რომლის ოდენობაც განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მოთხოვნებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ იცვლება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.